საქართველოს ასურელების სამეურნეო ადაპტაციისა და ყოფის საკითხები

ნოდარ შოშიტაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: nodar_shoshitashvili@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0009-0006-7286-0087
საბა კალანდარიშვილი
კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტი
ელ-ფოსტა: sabakalanda@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0003-1815-9810

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია საქართველოში მცხოვრები ასურელების სამეურნეო ადაპტაციისა და ყოფის ძირითადი საკითხები. კვლევის მიზანია საქართველოს ასურული თემის მიგრაციის ისტორიის, სამეურნეო საქმიანობის, ტრადიციული ყოფისა და ქართულ ეთნოკულ-ტურულ გარემოსთან ინტეგრაციის პროცესის წარმოჩენა. ნაშრომი ეფუძნება ისტორიულ წყაროებს, ეთნოგრაფიულ ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებსა და საველე ეთნოგრაფიულ მასალას.

განხილულია ასურელთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიული წინაპირობები და მიგრაციული ტალღები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქანდას, როგორც საქართველოში ასურელთა ძირითად დასახლებას. გაანალიზებულია მათი სა-მეურნეო ადაპტაციის პროცესი, რომელიც გამოიხატა ადგილობრივი მიწათმოქმედების, მევენა-ხეობა-მეღვინეობის, მესაქონლეობისა და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ათვისებაში. ამასთანავე, ნაჩვენებია, რომ ასურელებმა ქართულ გარემოში ინტეგრაციის მიუხე-დავად შეინარჩუნეს ეთნიკური თვითმყოფადობის მნიშვნელოვანი ნიშნები – ენა, რელიგიური ტრადიციები, რიტუალები, დღესასწაულები და ტრადიციული კულინარია.

კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოს ასურელთა სამეურნეო ადაპტაცია წარმოადგენდა ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისადმი წარმატებულ შეგუებას, რომელიც განხორციელდა ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან ერთად. ეს პროცესი ნათლად ასახავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და კულტურული მდგრადობის თავისებურებებს საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ასურელები, საქართველო, ეთნიკური უმცირესობები, სამეურნეო ადაპ-ტაცია, ეთნიკური იდენტობა, ტრადიციული ყოფა, ქანდა, ეთნოგრაფია, კულტურული ინტეგრაცია, მიგრაცია.

***

შესავალი: საქართველო ისტორიულად მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სივრცეა, სადაც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი თანაცხოვრობდა და ქვეყნის სოციალურ-კულტურულ განვითარებაში საკუთარი წვლილი შეჰქონდა. მათ შორის განსაკუთრებუ-ლი ადგილი უკავია ასურელებს, რომელთა საქართველოში დამკვიდრების ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა მცირერიცხოვანია, ასურული თემი დღემდე ინარჩუნებს ეთნიკური თვითმყოფადობის მნიშვნელოვან ნიშნებს – ენას, რელიგიურ

ტრადიციებს, ჩვეულებებსა და კულტურულ მემკვიდრეობას, ამავე დროს კი ორგანულადაა ინ-ტეგრირებული ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ სივრცეში.

ეთნიკური ჯგუფების სამეურნეო ადაპტაციის შესწავლა მნიშვნელოვან საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ როგორ ერგებიან მიგრანტი თემები ახალ ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს, რა ფორმით ითვისებენ ადგილობრივ სამეურნეო გამოცდილებას და რომელ ტრადიციულ ელემენტებს ინარჩუნებენ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის ფარგლებში. ამ თვალსაზრი-სით, საქართველოს ასურელები საინტერესო კვლევის ობიექტს წარმოადგენენ, რადგან მათი ისტორიული ბედი, მიგრაციული პროცესები და სამეურნეო საქმიანობის ტრანსფორმაცია ნათლად ასახავს ადაპტაციისა და კულტურული უწყვეტობის ურთიერთმიმართებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოში მცხოვრები ასურელების სამეურნეო ადაპ-ტაციისა და ყოფის ძირითადი საკითხების წარმოჩენა, მათი ისტორიული მიგრაციის, განსახლების, სამეურნეო საქმიანობის, ტრადიციული კულტურისა და ქართულ ეთნოკულტურულ გარემოსთან ურთიერთობის კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ქანდას, რომელიც საქართველოში ასურელთა უმთავრეს დასახლებას წარმოადგენს და სადაც ყველაზე სრულად არის შემონახული მათი ტრადიციული ყოფისა და კულტურის მრავალი ელემენტი.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ლიტერატურას, საარქივო და პერიოდულ გამოცემებში დაცულ ცნობებს, აგრეთვე ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებულ საველე ეთნოგრაფიულ მასალას. აღნიშნული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაანალიზებუ-ლია ასურელთა სამეურნეო ადაპტაციის პროცესი, ადგილობრივი სამეურნეო გამოცდილების ათვი-სების ფორმები და იმ ეთნოკულტურული ღირებულებების შენარჩუნება, რომლებმაც საქართვე-ლოს ასურელებს ეთნიკური თვითმყოფადობის დაცვა და ქართულ საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაცია უზრუნველყვეს.

მსჯელობა: საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის აღსანიშნავია ასურელ-თა ეთნიკური ჯგუფი. ეს ის ხალხია, რომელთა წინაპრები სახელოვანი ისტორიისა და კულტურის შემომქმედნი არიან. ამ ხალხს რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ: ასურელები, ასირიელები (რუ-სულის გავლენით), აისორები (სომხურის გავლენით), რაც ამჟამად კნინობით-დამამცირებლად ითვლება; აგრეთვე ქალდეველები, არამეელები, სირიელები და სხვ. კონფესიური მიკუთვნების გამო ზოგჯერ მათ მოიხსენიებენ ნესტორიანელებად, იაკობიტებად, აგრეთვე ქალდეველებად. თვითდასახელება მათი, ანუ ენდოეთნონიმია - ასურაი, ქალდაი ან ათურაი. ამჯერად ჩვენ ასუ-რელების სახელით მოვიხსენიებთ, მით უმეტეს, რომ მათი სურვილიც ესაა.

ჯერ კიდევ ისტორიულ ხანაში იყო რამდენიმე „შეხვედრა“ ქართველთა წინაპრებსა და ძველ ასურელებს შორის. ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე გაეცნენ ისტორიული საქართველოს სამხრეთში მცხოვრები ჩვენი ტომები და ადრეკლასობრივი სახელმწიფოები მძლავრ ასურეთის სახელმწიფოსა და მათ უზენაეს ღვთაება აშურს; შემდგომ, უფრო მეტიც, ძველი და ახალი წელთ-არიცხვის მიჯნაზე, ელინისტურ ხანაში, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ასურული ანუ არამეული ენა ერთ-ერთი გავრცელებული და ოფიციალური, სამწერლობო ენა ყოფილა ქართლის სამეფოში. ამაზე მეტყველებს, თუნდაც მცხეთაში, არმაზისხევში აღმოჩენილი ე. წ. არმაზის ბილინგვა. სერაფიტას საფლავის ქვაზე ბერძნულთან ერთად არამეულ ენაზეა ამოკვეთილი ეპიტა-ფია. ასე რომ, არამეული ენა დაახლოებით ორი ათასი წელია ისმის ჩვენთან და დამწერლობის ადგილობრივი სახეობა. თავის დროზე, ე. წ. „არმაზული დამწერლობაც“ კი ჩამოყალიბდა.

თუმცა, ამ დროს ასურელებს თავისი სახელმწიფო აღარ ჰქონდათ; არც მაშინ და აღარც მთელი მომდევნო ისტორიის განმავლობაში. ძვ. წ. 610 წლიდან და შემდგომ, მრავალი ასწლეულის გან-მავლობაში, ასურელი ხალხი, ძირითადად დისპერსიულად განსახლდა და გაფანტულად, ანკლა-ვებად ცხოვრებდა სხვადასხვა იმპერიისა თუ სახელმწიფოთა შემადგენლობაში; ცხოვრობდნენ იმ

მიწა-წყალზე, რომელთა ადგილზე, ამჟამად, რამდენიმე სახელმწიფო მდებარეობს ისლამის მიმდევარი მოსახლეობით: ირანი, თურქეთი, სირია და ერაყი. სწორედ ქრისტიანობამ, რწმენამ შეუნარჩუნა ეთნიკური სახე ასურელებს.

ასურელები ერთ-ერთი პირველნი შეუდგგნენ ქრისტეს რწმენას. ეს ამბავი კი შემთხვევითი არ იყო, რადგანაც, ჩვენი მაცხოვარი, უფალი იესო ქრისტე სწორედ არამეულ ენაზე მეტყველებდა და ამავე ენაზე ქადაგებდა. სირიიდან, სწორედ ანტიოქიიდან გავრცელდა ქრისტიანული რწმენა საქართველოში და პირველ ხანებში სწორედაც ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა ჩვენი ეკლესია. შემდგომ იყო მეექვსე საუკუნე, როდესაც შემოვიდნენ „ათცამეტი“ ასურელნი მამანი იოანე ზედაზნელის თაოსნობით; შემოვიდნენ ურხადან (ედესიდან), შემოიტანეს ჩვენთან ბერ-მონაზნური ცხოვრება და თავისი რწმენით, ქადაგებით და უმწიკვლო ცხოვრებით სული შთაბერეს მომძლავრებული მაზდეანობით მინავლებულ ქრისტიანულ ცხოვრებას.

ასურელებს ცხოვრება უმძიმდათ გარემომცველ მუსლიმურ სამყაროში, ამიტომ დაიწყეს გამოსავლის და გზების ძიება. ამ ძიებამ საქართველოსკენ მოაპყრობინათ თვალი. როგორც ჩანს, უკვე XVIII საუკუნის 70- იანი წლებიდან ჩნდება პირველი ასურული ოჯახები ქართლ-კახეთის სამეფოში (აბაშიძე 2008: 208, ჩიხლაძე 2002:3). მუდმივი დევნა-შევიწროვება მათი ყოფის ხვედრი იყო, ამიტომ ეძებნენ მშვიდ და რწმენით ახლობელ გარემოს ასურისა და ნინევიის შთამომავალნი! ასეთად კი, საქართველო მიიჩნიეს და არც შემცდარან. არსებობს ერეკლე მეორის დროინდელი საინტერესო დოკუმენტები, როგორც ძვირფასი წყარო ქართულ-ასურული ურთიერთობის შესახებ. ესაა წერილები ასურელთა კათალიკოსის სიმონის (ასურულად მარ-შიმუნი) და ეპისკოპოს ისაიას (მარ-იშაი) მიერ მიწერილი ერეკლე მეორისადმი (მაჭარაძე, 1984: 21, ოსიპოვი 2007:15). კათალიკოსი მეფეს ჰპირდება, რომ თუ ერეკლე ჯარს შეიყვანს ოსმალეთში, ოცი ათასი მეომრის გამოყვანას შესძლებს დასახმარებლად. საინტერესოა ერეკლე მეორის მინაწერი ეპისკოპოს ისაიას წერილზე, „რომელიც ამის უწინარეს ჩვენთან მოვიდა და მკითხა, ასურთ შემოერთება უნდათ თქვენთანო“.

ასურელთა მიგრაციის „დამაჩქარებელი“ რუსეთის იმპერია აღმოჩნდა. მე-18 საუკუნის მიწურულიდან რუსეთმა გააქტიურა იმპერიული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. მრავალი ომიც აწარმოა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ ომებში რუსეთი ქრისტიანების დაცვის ლოზუნგით გამოდიოდა, დასაყრდენად ამ ქვეყნებში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობა მიიჩნია და როგორც ჩანს არც შემცდარა. ისინიც იმედის თვალით შეჰყურებდნენ ქრისტიანულ რუსეთს და მათ საომარ ოპერაციებში სხვადასხვა ფორმით ეხმარებოდნენ კიდეც. რუსეთის ბრძოლებს წარმატებებს წარუმატებლობა მოსდევდა და უკანდახევების დროს ოფიციალურ ირან-თურქეთსა თუ უშუალოდ ასურელთა მეზობლად მცხოვრებ სხვა მუსლიმურ მოსახლეობის შურის მაძიებელთა ობიექტებად იქცეოდნენ. ამიტომ რუსეთი იძულებული იყო განეთავსებინა იმპერიის ტერიტორიაზე დევნილი ასურელები.

ასურელები სომხეთის გავლით რამდენიმე ტალღად შემოდიან საქართველოში: ჯერ XIX საუკუნის 30-იან წლებში, შემდგომ, XIX საუკუნის 40-იან წლებში. ასურელები ადრეც ჩამოდიოდნენ სეზონურ სამუშაოდ კავკასიაში და კონკრეტულად მის ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრს, თბილისს ეტანებოდნენ. ერთი ნაწილი მუდმივადაც რჩებოდა. მე-XIX საუკუნის 60-იან წლებში, ასურელთა ერთი ნაწილი ჩამოსახლდა და დაიწყეს ცხოვრება ქვემო ქართლში, ყარაიას ველზე, დღევანდელ გარდაბნის რაიონში. სწორედ გარდაბანთან, სოფელი ვასილევკა და ყარათაფა დააარსეს. დაახლოებით ამ დროს, 1867 წელს დასახლდნენ სოფელ ქანდაში. დევნილ ასურელთა განსაკუთებით დიდი ნაწილი, საქრთველოში 1915 წელს შემოდის, პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც მათი გენოციდი განხორციელდა და ლტოლვილმა ასურელებმა საქართველოში ჰპოვეს ახალი სამშობლო. ასურელები დასახლდნენ აგრეთვე რუსეთში, კრასნოდარისა და როსტოვის მხარეებში. ამჟამად საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ მოსკოვშიც.

თბილისიდან დასავლეთისკენ მიმავალი მგზავრისთვის, სამუხრანბატონოში მდინარე ქსნის ნაპირას და გრანდიოზული ქსნის ციხისა და სხალტბის ქედის სამხრეთით, თვალშისაცემია ერთი კოხტა, ლამაზი სახლებითა და მოვლილი კარმიდამოებით გაწყობილი, მწვანეში ჩაფლული სოფელი ქანდა. ამჟამად მისი სახელი ძველი ქანდაა. სწორედ აქ დაფუძნდნენ ურმიიდან (ირანი), სალმასიდან (ერაყი) და ხაკარგიდან (ბითლისი, თურქეთი) ლტოლვილ ასურელთა დიდი ნაწილი და აქ გააჩაღეს ახალი კერა კეთილგანწყობილ ქართველებს შორის.

რაც შეეხება ტოპონიმ, ქანდის ეტიმოლოგიას. ერთი ვერსიით, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სპარსული წარმოშობის სიტყვაა და „ანათალს“ ნიშნავს. ეს სიტყვა სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშიცაა მოხსენიებული და „ოქროს ვარაყს“ აღნიშნავს, რაც უფრო უხდება, მიესადაგება აქაურობას. არავინ იცის დაზუსტებით როდის და საიდან მიიღო ეს სახელი ქსნის ხეობის ქვემო წელში მდებარე ამ ბარაქიანმა ადგილმა. ვახუშტი ბატონიშვილთან ვხვდებით ქანდას, თუმცა სოფელთა შორის არ იხსენიება. ნახსენებია ოდენ „ქანდა ციხე“. გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი აღნიშნავს: „კუალად ნარეკუავის შესართავის დასავლეთით, სარკინეთის მთის ჩრდილოს გუერდი, ვიდრე ქანდა ციხის ძირამდე, არს ვენახოვანი, ხილიანი, ბარაქიანი და ტყიანი. ხოლო ციხის ძირს ჩამოუდის კ(?)სანი“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973:351). როგორც ჩანს, XVIII საუკუნისათვის არც ამჟამინდელი სოფელი ციხისძირი არსებობდა და არც ქანდა. ციხისძირი მუხრანბატონების მიერ ჩამოსახლებული თურქული მოდგმის მწყემსებით დასახლებული სოფელია, ხოლო ქანდა - ასურელთა დასახლება, სადაც ამჟამად დაახლოებით 540 კომლი, ანუ 1500-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგანაც დაფუძნდენ ასურელები, უფრო მცირე რაოდენობით: გარდაბან-ყარაიაში, ბათუმში, სენაკში, ზესტაფონში, ქუთაისში და განსაკუთრებით თბილისში - ვერა-ვაკისა და კუკიის უბნებში.

მიზანდასახულმა და ალღოიანმა ასურელებმა თბილისში აგურის ქარხნები დააარსეს და გამოშვებულ აგურებზე ჯვრებიც აღბეჭდეს. ასურელები ქრისტიანობის ნესტორიანული და სხვა მიმართულებიდან მართლმადიდებლობაზეც გადმოვიდნენ. ამის თაობაზე, ჯერ კიდევ XIX საუკუნის პრესა: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა გაზეთები გვამცნობენ (ივერია, 1998, ცნობის ფურცელი, 1998). საქართველოში ჩამოსახლებული ასურელების შესახებ ცნობას გვაწვდის გაზეთი „დროებაც“ (დროება, 1875).

ახლად მოსული ასურელები სრულად ჩაეწერნენ ქართულ გარემოში, ძვირფასი ადამიანური თვისებებით: შრომის სიყვარულით, პატიოსნებით და სიკეთით გამსჭვალულნი ახალი სამშობლოსადმი. მართალია, ასურელები საქართველოს სხვადასხვა ადგილზე განსახლდნენ, მაგრამ, ამჟამად, მათი ძირითადი განსახლების ადგილი მღევანდელი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ძველი ქანდაა.

როგორც აღვნიშნეთ, ქანდა ძველი სოფელია, შუა საუკუნეებიდან იხსენიება, მაგრამ ვიმეორებთ, იმ დროს, როდესაც ასურელები დასახლდნენ, იგი უკვე ნასოფლარი იყო. აქაურები გადმოგვცემენ, რომ უკვე ჩამოსახლებული ასურელებისთვის 1900 წელს ადგილობრივი მიწები ოქროს ფასად შეუძენია ივანე მუხრანბატონისგან ვინმე უსტა ალავერდის, გვარად ბადალოვს. იგი ხელოსანთა „გილდიის უფროსი“ ყოფილა და, როგორც ამბობენ, სახელმწიფო შეკვეთებსაც იღებდა. შესაბამისად, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, მეტად მდიდარი ყოფილა და საფასურად, ჰიპერბოლურად, ერთ ურემ ოქროს ასახელებენ. საერთოდ, გადმოსახლებულ ასურელებს ყოფდნენ წარმოშობისა და გამოსვლის ადგილის მიხედვით მთიელებად, ურმიელებად, სალმასურებად და სხვ. ჩამოსახლებულები სოციალურად გვარებად იყოფოდნენ, რომელთაც მალიქი მეთაურობდა. სხვადასხვა თემებიდან გამოსულებს სხვადასხვა წესებიც მოჰყვათ. ამათგან, მთიელ ასურელებს სცოდნიათ საქორწინოდ ქალის სყიდვა, რაც შემდგომში მათ თითქმის მონურ მდგომარეობაში აგდებდა (სონღულაშვილი, 2005: 35). ბევრი საინტერესო საქორწინო ტრადიცია და

რიტუალიც მოიტანეს ასურელებმა ქანდაში. ასე მაგალითად, სასიძოს ოჯახს საპატარძლოს სახლში მიჰქონდა სიმბოლური ხე - საჩუქრებითა და ტკბილეულით შემკული, რომელიც ერთგვარ ანალოგს პოულობს ქართლში არსებულ საქორწინო „ჩირაღდანში“/“იახტანში“. იმართებოდა საქორწინო ხის „გამოსყიდვის“ რიტუალიც.

150 წლის წინ, მუხრანის ველზე დამკვიდრებულმა ქანდელებმა მუხრან-აღაიანელი ქართველებისაგან აითვისეს მემინდვრეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ჩვევები, მარცვლეული კულტურების ჯიშ-სახეობები და მემინდვრეობის წარმოების ხელსაწყო-იარაღები. ასურელებმა აითვისეს ხორბლის როგორც ენდემური, ისე ტრადიციული სახეობები დოლის პური, დიკა, თავთუხი, შავფხა და სხვ.

შიდა ქართლის ვაკეზე, გამომდინარე აქაური კლიმატურ-ნიადაგობრივი თვისებებიდან, უკვე განვითარებულ შუა საუკუნეებში შეიქმნა მასთან მისადაგებული სახვნელი, დიდი გუთანი. თანაც, იყო დიდ გუთანში ნიუანსური განსხვავება მიკროზონების მიხედვით. ამ თვალსაზრისით მუხრანის ველზე „მუშაობდა“ ე. წ. მუხრანული დიდი გუთანი უზარმაზარი სახნის-საკვეთელით და 8-9 უღელი ხარ-კამეჩის გამოყენებით. მეზობლების მაგალითით, ქანდაშიც გაინერგა „მუხრანული დიდი გუთანი“ და მასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანება მოდგამი. ისწავლეს კალოს გამართვა, ძნების „ჩაშლა“, კევრის, არნადის, ცხრილ-ცხავის გამოყენება. სწორედ ამ ხორბლეულის გამტკიცული ფქვილი იყო ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რიტუალური მურთუხას მომზადებისას.

საერთოდ, მრავალი ტრადიციული კერძი ასურელებში რიტულური დანიშნულებისაა, რომელნიც მზადდება სასოფლო, საოჯახო და რელიგიური დღესასწაულების დროს. სწორედ ერთი ასეთთაგანია მურთუხა. შემადგენელი ინგრედიენტების თვალსაზრისით იგი არაა რთული და მასში სიმბოლურად წარმოდგენილია ქანდელ ასურელთა სამეურნეო-კულტურული ტიპი, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ხასიათი. მესაქონლეობა კი ქანდაში ძირითადად ბაგური ხასიათისა იყო. მთის იალაღების არარსებობის გამო უცხო იყო გადარეკვითი მეურნეობა (რაც დამახასათებელი იყო ბითლის-ვანში მთიელი ასურელებისთვის).

ქანდელმა ასურელებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან აითვისეს რძის გადამუშავების ადგილობრივი წესები და საშუალებანი, განსაკუთრებით კარაქის დღვების ჰორიზონტალური სადღვებელი ხის „ვარია“ და სხვ. ქართველებისგან გადაიღეს ბოსტნეულის ადგილობრივი სახეობები და დაიწყეს მათი მოყვანა. განსაკუთრებით კი გული დაუდეს მევენახეობა-მეღვინეობა. ასურელები ძველ სამკვიდროშიც აშენებდნენ ყურძენს, მაგრამ მუსლიმური სამყაროთი გარემოცულნი, სავარაუდოდ, ღვინოს ნაკლებად აყენებდნენ. ქანდელებმა დაიწყეს ყურძნის ადგილობრივი ჯიშების გაშენება: ჩინური, გორული მწვანე, შავკაპიტო და სხვ. დღეისათვის, როგორც ასეთი, ვენახები ნაკლებადაა ქანდაში, მხოლოდ ხეივანზე გაშვებული ჩინურით, გორული მწვანეთი, იზაბელათი, ლომიაურით აყენებენ ღვინოს.

საინტერესოა, რომ, ერთი ხანობა ასურელებს გერმანელებთან ერთად მოუწიათ ცხოვრება. მეოცე საუკუნის დასაწყისში, პირველ ათწლეულში, ქანდის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე, შეავიწროვეს ასურელები და ჩამოასახლეს გერმანელები. თითქოს ცალკე სოფელიც დაარსდა, სახელიც დაარქვეს, გეორგესტალი. ბევრი სასიკეთო გადაიღეს მათგან ქანდელებმა. დაარსდა პირველი სკოლა. ცხადია, გერმანულ ენაზე და ქანდელი ბავშვების ერთმა ნაწილმა აქ დაიწყო სწავლა. გაიყვანეს მთავარი, ფართე ქუჩა, რომელიც დღესაც იმავე სივრცითა და ფორმითა; ააგეს გზისადმი პერპენდიკულარულად განთავსებული გრძელი ფორმის სახლები, რომელთაგან რამდენიმე დღემდეა შეორჩენილი... მერე მოხდა მეორე მსოფლიო ომი და გერმანელების გასახლება შუა აზიაში. თუმცა სტალინურ გადასახლებას არც ასურელთა ერთი ნაწილი გარდაურჩა, ზოგი ირანის, ზოგიც თურქეთის აგენტობის გრალდებით...

საინტერესოა თვალის გადავლება ასურელების ანთროპონიმიკისათვის. დევნილობით მოსულ ასურელებს გვარები არ ჰქონდათ. ერთმანეთს მოიხსენიებდნენ მამის სახელით ან პატრონომიის

მიხედვით. მაგალითად, ბით იაკოფ, ბით ათანეზ, ბით ხირდი, მირ შიმუნი, მირ იშაი და სხვ. რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ მათ გვარები მინიჭა, ცხადია რუსული ფორმანტით, „ოვ“ და „ევ“ მაწარმოებლებით. სომხეთში მათი გვარები გაფორმდა სომხური ყაიდით. მაგალითად, ბით რაის გახდა რაისიანი და სხვ. დღეისათვის არის ტენდენცია რუსულის ნაცვლად მათი გვარები ქართულ ყაიდაზე გაფორმდეს. კერძოდ, იაკუფოვი იცვლება იაკობიძით, ივანოვი გახდა ივანიძე და სხვ. სხვა ტენდენცია განვითარდა დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, გვარები თავიდანვე ქართული ფორმანტით აიღეს პატრონიმიის მითითებით. ამიტომაც იმერეთ-აჭარაში ასურელთა გვარებია იონანიძე, იგავაიძე, იჭვაიძე, აშკაშიძე, აზვანიშვილი და სხვ. ბავშვებს ამჟამად ძირითადად ქართულ სახელებს არქმევენ.

რა პროფესია აღარ გამოსცადეს ახალმოსახლე ასურელებმა. იყვნენ ხარაზები, ფესაცმლის მწმენდავები (იყო ასეთი პროფესია ახლო წარსულამდე) იმ დონეზე აყვანილი, რომ ფეხსაცმელის საკუთარი საცხის შემადგენლობაც კი შეიმუშავეს. გასული საუკუნის შუა ხანებამდე, თბილისელებს ახსოვთ ახოვანი, ხშირულვაშიანი მამაკაცები, რომლებსაც მხრებზე განსაკუთრებული მოწყობილობა ჰქონდათ გადაკიდებული, სალესი ქვებით ახუნძლული. ესენი დანების მლესავი ასურელები იყვნენ. ეს პროფესიაც წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დარჩა კიდევ ერთი პროფესია, რომელზეც მუდმივი მოთხოვნილებაა. ქანდელები სახლების საუკეთესო მლესავები არიან. მთელი ქართლის საცხოვრებელთა ოთახების უმეტესობა „გაჯით“ მათი გალესილია. ფულსაც საკმაოდ შოულობდნენ და რამდემე დღე ლესვისას ოჯახებში გაჩერებულებს, მოწონებული საპატარძლოებიც იქიდან მოჰყავდათ. ამიტომაა ნახევარი ქანდის ოჯახების რძლების „სამშობლოებს“ რომ გაეცნობი, ქართლის სოფლების მოზაიკა გამოისახება!

ამრიგად, მიწათმოქმედებაშიც გამოიჩინეს თავი ქანდელებმა, საქონელიც გაამრავლეს, ბევრი რამ გადაიღეს ქართველებისაგან, მაგრამ შეინარჩუნეს მთავარი - საქართველოს პატრიოტიზმთან ერთად, საკუთარი წარმომავლობისადმი, ფესვებისადმი ხსოვნა-პატივისცემა, წინაპრების არდავიწყება და რაც მთავარია ეთნოსის თვითშეგნებისათვის, ასურული, არამეული ტკბილხმოვანი ენა. სწორედ იმის გამო, რომ ასურულ ენას არ შეექმნას საშიშროება, ქანდის სკოლაში ისწავლება ასურული ენა, ასურული დამწერლობა, მოსწავლეები ეუფლებიან ასურულ წერა-კითხვას.

მიუხედავად საბჭოთა პერიოდში, ათეიზმის დანერგვა-ქადაგებისა, ასურელებმა ერთგულად შემოინახეს ტრადიციული, ქრისტიანული დღესასწაულები. უფრო მეტიც, ამჟამად კიდევ უფრო ფართოდ აღნიშნავენ აქაური ოჯახები. ერთი ასეთია ხაბ-ნისანი, ასურული ახალი წლის აღნიშვნა. იგი გაზაფხულის დღესასწაულია, ბუნების გამოღვიძებასთან არის და დღე-ღამის სწორობასთანაა დაკავშირებული. ქანდაში ამ დღეობას ყოველ წლის, ზუსტად პირველ აპრილს აღნიშნავენ. წარსულში, როდესაც ქანდაში, ისევე როგორც მეზობელ ქართულ სოფლებში მუხრანსა და აღაიანში მიწათმოქმედება, განსაკუთრებით კი მემინდვრეობა, მოსახლეობის ყოფაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა და ხვნა-თესვა საგაზაფხულო სამეურნეო კალენდრის ერთ-ერთი მთავარი ეტაპი იყო, სწორედ ამ დღიდან იწყებდნენ მინდორში გასვლას და პირველი ხნულის გავლებას.

დიდ-პატარა აღნიშნავს იდა სურას *(შობა),* ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მარხვის შემდეგ ყველა ელოდება გახსნილებას. შობის ღამეს ოჯახებში ჰარისა იხარშება ქათმის ხორცისა და ხორბლისაგან. დილით სწორედ ჰარისათი იხსნილებენ. ჰარისა სხვა მეზობელ ხალხებშიც იციან, ასურულად კი საშობაო ჰარისა ასე მზადდება - გადმოგვცემს ქალბატონი ნაია ბით იაოანი-ივანიძე: „წყალს ვასხამთ ქვაბში და ნელ-ნელა ვუმატებთ გარეცხილ ხორბალს და ფრინველის ხორცს. ცეცხლზე დადგმულს დროდადრო ვურევთ. როდესაც შევატყობთ, რომ ხორბალი და ხორცი კარგად მოიხარშა, გადმოვდგამთ ცეცხლიდან. თეფშებზე ჩამორიგებისას ვაზავებთ მარილით და გამდნარი ერბოთი.“

ასურელთა ტრადიციულ სადღესასწაულო ციკლში აღსანიშნავია სიდა გურა (აღდგომა), მარ გივარგიზი (გიორგობა), მარიამობა და სხვ. (ასურელები დარწმუნებით ამბობენ, რომ წმინდა გიორგიც და წმინდა ნინოც წარმოშობით ასურელები არიან). (ოსიპოვი, 2007: 66)

ქანდელი ასურელები განსაკუთრებული ენთუზიაზმით აღნიშნავენ მარეზობას, იგივე მარეზის, მარ ზაიას (წმინდა ზაიას) დღესასწაულს. წელიწადში ორჯერ ზეიმობენ, ზამთარში - 18 იანვარს და ზაფხულში - 14 ივნისს. ეს არის მოსავლიანობისა და ბარაქიანობისადმი მიძღვნილი დღესასწაული. ზამთარში მარეზობა ხორცით და საკლავით იმართება. სოფელში ამ დღისადმი გროვდება ფული, ამ ფულით შეიძენენ საქონელს და სამი დღის მარხულობის შემდეგ - 18 იანვარს, გამთენიისას დაკლავენ, დაჭრიან-დაანაწილებენ და უზარმაზარ სასოფლო ქვაბში ხარშავენ. მოხარშული ხორცი წესის მიხედვით ოჯახ-ოჯახ ჩამორიგდება. ამ დღეს იკვლება საღვთო, წითელი მამლებიც. განსხვავებულია ივნისის მარეზობა. ზაფხულის მარეზობა, ივნისში, საკლავის გარეშე მიმდინარეობს. ამჯერად სოფელი რძეს, ფქვილს და ერბოს აგროვებს და სოფლის შუაგულში, უზარმაზარი ხის ქვეშ, მთელი ღამე იხარშება მურთუხა და ესეც მთელ სოფელზე ნაწილდება.

რა შეიძლება ითქვას ორი მარეზობის შესახებ და რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია? მათ შორის ერთი საერთოა - ორივე მიძღვნილია ნაყოფიერებასთან, გამრავლებასთან, ხვავ-ბარაქიანობასთან. ზამთარში საკლავით ჩატარება და ზაფხულში აქცენტის გაკეთება მარცვლეულზე, რძესა და ერბოზე, იმის მიმანიშნებელია, რომ ქვეცნობიერად აისახება ასურელებში არსებული სამეურნეო-კულტურული ტიპი. მხედველობაში გვაქვს მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური შეთანაწყობა და მეურნეობის ორივე დარგისადმი სუხვე-ბარაქიანოვის დაკვებების თხოვნა-სურვილი.

და ბოლოს, ერთ-ერთი მთავარი ხალხის თვითმყოფადობისათვის და სხვათაგან გამორჩევისათვის, ტრადიციული ხალხური კულინარია, ასურული ხალხური კერძები, რომელთა ჩამოთვლაც კი ერთობ შთამბეჭდავია: ჰასიდა, ბუშალა, მურთუხა, ხმსა, ხვისა, ჭურჭური, ჯაჯიკი, ჰარისა, თრიდა, იარყა შეჭამანდი და სხვ. ამ კერძებიდან ზოგი სანიადაგოა, ყოველდღიური, ზოგიც რიტუალურია, სადღესასწაულო. საქმე იმაშია, რომ ასურელებმა, საერთო ქრისტიანული დღესასწაულებთან ერთად, რომელსაც ქართველებთან ერთად აღნიშნავენ (მარიამობა, გიორგობა - „წმ გივარგის დღე“ და სხვ.) ერთგულად შემოინახეს მამაპაპათა წმინდანების დღეობები, მოწიწებით აღნიშვნით და რიტუალური კერძებით. ერთი ასეთი დღესასწაულია მარეზობა.

დასკვნა: კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ასურელთა ჩამოსახლება განპირობებული იყო ისტორიული, პოლიტიკური და რელიგიური ფაქტორებით, ხოლო მათი საბოლოო დამკვიდრება XIX–XX საუკუნეებში განხორციელდა. ახალ სოციალურ და ბუნებრივ გარემოში ასურელებმა შეძლეს წარმატებული სამეურნეო ადაპტაცია, რაც გამოიხატა ადგილობრივი მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობის, მესაქონლეობისა და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო გამოცდილების ათვისებაში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქანდაში მცხოვრები ასურელების მაგალითი, სადაც ადგილობრივი ქართული სამეურნეო ტრადიციების მიღება ორგანულად შეერწყა ასურელთა ტრადიციულ ყოფასა და კულტურას. მათ წარმატებით აითვისეს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, შრომის ორგანიზების ფორმები და სამეურნეო ტექნოლოგიები, თუმცა ამ პროცესს არ მოჰყოლია ეთნიკური თვითმყოფადობის დაკარგვა.

კვლევა ადასტურებს, რომ ინტეგრაციის პარალელურად საქართველოს ასურელებმა შეინარჩუნეს ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნიშნები – არამეული ენა, რელიგიური მემკვიდრეობა, ტრადიციული დღესასწაულები, რიტუალები, კულინარია და ოჯახური წეს-ჩვეულებები. სწორედ ამ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებამ უზრუნველყო მათი ეთნიკური თვითშეგნების უწყვეტობა მრავალეთნიკურ ქართულ საზოგადოებაში.

ამრიგად, საქართველოს ასურელთა სამეურნეო ადაპტაცია წარმოადგენს კულტურული ადაპტაციის წარმატებულ მაგალითს, რომლის საფუძველსაც, ერთი მხრივ, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური გარემოსადმი ეფექტიანი შეგუება, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი ეთნოკულტურული

ღირებულებების ერთგული დაცვა წარმოადგენს. საქართველოს ასურელთა გამოცდილება ნათლად წარმოაჩენს, რომ ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაცია შესაძლებელია კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან სრულ თანხვედრაში, რაც ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი მრავალეთნიკური თანაცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე, ნ. (2008). ასურელები. წიგნში *ეთნოსები საქართველოში*. თბილისი.

ბატონიშვილი ვახუშტი. (1975). *აღწერა სამეფოსა საქართველოსი*. წიგნში *ქართლის ცხოვრება* (ტ. 4). თბილისი.

გაზეთი „დროება“. (1875).

გაზეთი „ივერია“. (1898).

გაზეთი „ცნობის ფურცელი“. (1898).

მაჭარაძე, ვ. (1984). *ქართულ-ქურთულ-ასურულ-რუსული ურთიერთობანი (XVIII ს. 60–70-იანი წლები)*. თბილისი.

ოსიპოვი, ი. (2007). *ასირიელები თბილისში*.

სონღულაშვილი, ა. (2005). *ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში*. თბილისი.

ჩიხლაძე, ი. (2002). გაზეთი *კავკასიის აქცენტი*, №23.